ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

6 ივლისი, შაბათი, 1991 წ.
№ 126 (10 539) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული

კანადის თასის ქართული ვარიანტი

დამთავრდა კანადის დიდი თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლად ასპარეზობდა. ჩვენმა თანამემამულეებმა ამ ტურნირში ოთხი პირველი, ერთი მეორე და სამი მესამე ადგილი დაიკავეს. ასეთი შედეგი არც ერთ სხვა გუნდს არ ჰქონია. კანადას, მაგალითად, ორი ჩემპიონი ჰყავდა, აშშ-ს — სამი, იაპონიას კი — ერთი. ტურნირში საქართველოს, კანადის, იაპონიისა და აშშ-ის მოჭიდავეთა გარდა, მონაწილეობდნენ ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის ათლეტები.

საქართველოს ფალავანთაგან გამარჯვებები მოიპოვეს: ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ), ავთანდილ გოგოლიშვილმა (82 კგ), მამუკა რაზმაძემ (90 კგ) და ლერი ხაბელოვმა (100 კგ). II ადგილი ხვდა ზაზა თურმანიძეს (130 კგ). გივი სისაური (57 კგ), ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ) და ლევან ებანოიძე (130 კგ) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გუშინ ჩვენი მოჭიდავეთა დელეგაცია თბილისს დაბრუნდა. გუშინვე „ლელოს" კორესპონდენტი ესაუბრა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ომზარ შოშიტაშვილს, რომელიც თან ახლდა ჩვენს გუნდს კანადაში. მან ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით, ბევრი საინტერესო რამ გვიამბო, რასაც უახლოეს ნომერში შევთავაზებთ მკითხველს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრი ბევრი პაციენტის მადლობას იმსახურებს.
გუშინ ცენტრი ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სოკრატემ აკურთხა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ბუნტი სამბოს სამყაროში ჩვენი გამარჯვებით დასრულდა

მეამბოხეთა თავგადასავალი იტალიაში

22 ივნისს, დანამდვილებით ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, შეიქმნებოდა თუ არა სამბოს ახალი ფედერაცია, საერთოდ, გაიმართებოდა თუ არა ევროპის ჩემპიონატი, რა სტატუსი მიეცემოდა მას, იქნებ ალტერნატიულ შეჯიბრებადაც დარჩენილიყო, არადა, იტალია მოლოდინში იყო. ასეთი ასპარეზობების ორგანიზება არა მარტო ხარჯებთან, მოგებასთანაც არის დაკავშირებული, ამიტომ, ყველაფერი გათვლილი და გარანტირებული უნდა იყოს. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, რაკი ჩემპიონატის ბედი გარკვეული არ იყო, სპონსორებს თანხებთან დაკავშირებით რისკი არ გაუწევიათ, ყველაფერი ტურინის კათოლიკურმა ეკლესიამ, მისმა მოძღვარმა და მრევლმა აიღეს თავის თავზე. ვჩქარობ, წარმოგიდგინოთ საოცარი პიროვნება — პადრე მარიო ლოი. მან, ერთმა კაცმა, იკისრა ის ფუნქცია, რასაც ჩვენში სამთავრობო საორგანიზაციო კომიტეტები ასრულებენ.

ლოი ღვთის მსახური, იტალიის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი, შეჯიბრების ორგანიზატორი, სპორტული კლუბის მენეჯერი, მწვრთნელი, მძღოლი (ეკლესიის კუთვნილი ავტობუსით გვემსახურებოდა) ბოლოს... სპორტსმენი — ჩემპიონატის მონაწილე. როგორ გაართვა თავი ამდენ საქმეს? ჩინებულად, ის კი არა, უძილარი და დაღლილ-დაქანცული პადრე ევროპის ჩემპიონიც გახდა აბსოლუტურ წონაში. უნდა გენახათ, როგორ გაცვივდებოდნენ ხოლმე ხალიჩაზე მისი პატარა შეგირდები, კოცნიდნენ, ულოცავდნენ, როცა პადრე მარიო შეხვედრას იგებდა.

პადრე მარიოს, როცა ევროპის ჩემპიონის მედალს გადასცემდნენ, თანამემამულეებმა საჩუქრები მიართვეს. სუვენირები გადავეცით ჩვენც, ცალკე საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს, ცალკე ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სახელით, როგორც ჩემპიონატის ჩინებულ ორგანიზატორს.

ორიოდე სიტყვა ჩემპიონატის საზეიმო გახსნაზეც უნდა ითქვას. არავითარი ზედმეტობა და პომპეზურობა, ეკლესიის სპორტულ კლუბთან ბალეტის სკოლაც არის გახსნილი. აი, ამ სკოლის მოსწავლეები გამოდიოდნენ ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალში. მონაწილე ქვეყნების ეროვნული დროშებით პატარებმა, სპორტულ დელეგაციებს და გულშემატკივრებს სხვადასხვა ილეთები აჩვენეს.

...კონგრესმა ერთხმად დაადგინა — ჩატარდეს საერთაშორისო შეჯიბრება სამბოში და ეწოდოს მას ევროპის ჩემპიონატი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამბოს მესვეურები, როგორც ადრე ვთქვით, გულნატკენნი იყვნენ იმითაც, რომ საბჭოთა სამბისტთა ნაკრებს ვერ უმკლავდებოდნენ და მათი ქვეყნების მონაწილეობა დიდ შეჯიბრებებში მხოლოდ გამარჯვებულის სახელის განდიდებას ემსახურებოდა. იტალიის, საფრანგეთის, შვეციის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ევროპის ჩემპიონატი ამჯერად ახლებურად ჩატარებულიყო, კერძოდ, საქართველოს, რუსეთის და ლიტვის გუნდები გამოვიდოდნენ ცალკე ქვეჯგუფებში, რათა ფინალისაკენ გზა სხვა სპორტსმენებსაც გახსნოდათ. ამ წესით, მართალია, ყველა მონაწილე ქვეყანას მიეცემოდა მედლის მოპოვების შესაძლებლობა, მაგრამ როგორი საქმეა წინასწარ, გამიზნულად წახვიდე ასეთ დათმობაზე?

საქართველოს, რუსეთის და ლიტვის დელეგაციებმა დიდი საქმე წარმატებით დააგვირგვინეს, ეს იყო მთავარი. წინა დღეებში, იმაზეც ყაბულს ვიყავით, ყველა მედალი დაგვეთმო, ოღონდ ჩვენი გაგვეტანა, საერთაშორისო ფედერაციაში გავეწევრიანებულიყავით. ფალავნებმა დაგვამშვიდეს —. კონგრესზე ხომ თქვენ მოიგეთ ომი, აქ ჩვენ გვაცალეთ, ამ სიხარულს გაგაათკეცებთო. მართლაც, არ არის ხუმრობა, რუსეთისა და ლიტვის ძლიერ მოჭიდავეებთან შეხვედრებში თავისუფლად გაიკაფო გზა კვარცხლბეკისაკენ. ფაქტობრივად, ეს იყო ერთდროულად ორი შეჯიბრება, საქართველო-რუსეთ-ლიტვის მატჩი, დავარქვათ ასე პირობითად, და ევროპის ჩემპიონატი. ქართველმა ფალავნებმა პირნათლად შეასრულეს სიტყვა. იმ დღეებში მათი მომრევი, ალბათ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდა, ისე ანთებულები და გაამაყებულები იყვნენ.

„ამხანაგური ტურნირი" ჩვენმა მოჭიდავეებმა ბრწყინვალედ მოიგეს. ფინალური შერკინებები ყოველთვის დაძაბულია და იქ იოლად არ მოდის გამარჯვება, მაგრამ, გალაღებულ ბიჭებს ეს აღარ აშინებდათ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველი მევლუდ მელაძე ავიდა. მევლუდი ჩემპიონი გახდა 52 კგ წონაში. როცა საქართველოს ჰიმნი დაუკრეს და ჩვენი ეროვნული დროშა ზევით ნელ-ნელა მიიწევდა, გარინდებული ქართველი ფალავნების თვალებში სიამაყის ცრემლი აკიაფდა.

ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები ადრე უკვე წარმოგიდგინეთ. ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი, ათივე მოჭიდავე შინ ჩემპიონი ან პრიზიორი დაბრუნდა. საერთო გუნდური პირველობა — შესანიშნავი შედეგია!

ფრანგი ლაბრუსი ასპარეზობის შემდეგ, როგორც იტყვიან, სახეშემლილი დააბიჯებდა დარბაზში. ამ კაცმა, ბუნტი უფრო იმის გამო წამოიწყო, რომ საფრანგეთსაც სურდა თავისი სიტყვა ეთქვა სამბოს სამყაროში. საბჭოთა ნაკრები ჩამოიშორეს და ახლა საქართველომ „დახვეტა" მედლები. ეს ლაბრუსის მეორე მარცხი იყო იტალიაში — კონგრესზეც. წააგო ბრძოლა და სარბიელზეც. წააგო ჩემპიონატი და მერე ვისთან — პატარა საქართველოსთან, რომელსაც ჯერჯერობით მსოფლიო ხეირიანად არც კი იცნობს. ლაბრუსს ნამდვილად აღარ ჩაესვლებოდა თავის ქვეყანაში. ისევ ძველმა მეგობარმა ნოდარ ექვთიმიშვილმა დაამშვიდა, შენთვის ხომ მთავარი რუსეთის გუნდის დამარცხება იყო. პოდა, საფრანგეთი საქართველოს შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა, რუსეთი კი მეხუთეზეო. ყოველ შემთხვევაში, თავის მართლება რაღაცნაირად შეიძლებოდა.

გუნდურ პირველობაში საქართველომ 39 ქულა მოაგროვა, საფრანგეთმა — 31, ლიტვამ — 29, იტალიამ — 19, რუსეთმა — 16, ბულგარეთმა — 8, შვეციამ — 2, სან-მარინომ — 1.

შინ დაბრუნებულ საქართველოს სამბისტთა ნაკრებ გუნდს ახალი მიწვევა დახვდა — ევროპის ჩემპიონებს აზიის ქვეყნების საერთაშორისო ტურნირზე ეპატიჟებიან. ნაკრები მიწვევას დაეთანხმა. გუნდს, რომელმაც ფურორი მოახდინა იტალიაში, დიდი ინტერესით მოელიან აზიის კონტინენტის ქვეყნების ტურნირზე. ქართველი ფალავნები ალბათ, ამ უდიდეს ასპარეზობაზეც თავის სიტყვას იტყვიან, მანამდე კი სერიოზული მზადებაა საჭირო, ტურნირი ამ თვის ბოლოს გაიმართება.

თენგიზ ბაჩეჩილაძე

ტურინი-თბილისი.

სამბოში ევროპის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალზე საქართველოს სამფეროვანი დროშით მოაბიჯებს იტალიელი გოგონა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 122, 123, 124, 125.

ინფორმაცია

● **ჰამბურგი.** გერმანიის ამ ქალაქში მიმდინარეობს მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს ერთადერთი ქალი, შვედი პია კრამლინგი. ექვსი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერია მოსკოველი დიდოსტატი არტურ იუსუპოვი — 5,5 ქულა. 4 ქულით მეორე ადგილზეა ერთბაშად ხუთი დიდოსტატი და მათ შორის კრამლინგიც.

● **ბარსელონა.** ოლიმპიურ სტადიონზე მიმდინარეობს კეტბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი რვა გუნდის მონაწილეობით. გათამაშებას ჯერჯერობით ლიდერობს სამეული — კუბის, ტაივანის და მექსიკის გუნდები.

● **ერევანი.** სომხეთის გარდამავალი თასი ფეხბურთში, რომელიც რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სეიფში ინახებოდა, მოულოდნელად დაიკარგა. პრიზი — ორი კილოგრამი ვერცხლისგან ნაკეთები ორიგინალური ვაზა — დაამზადეს 1936 წელს სომხეთის თასის გათამაშებაში გამარჯვებული გუნდებისათვის. თასის ბოლო მფლობელი იყო ლენინაკანის „შირაკი". სხვათა შორის, მიწისძვრის დროს ეს ჯილდო ნანგრევებიდან ამოიღეს და უსაფრთხოების მიზნით ერევანში გადაიტანეს...

ფინალი: გრაფი — საბატინი

ლონდონი. გამოვლინდნენ უიმბლდონის ქალთა ტურნირის ფინალისტები ერთეულთა შორის. ესენი არიან ძველი მეტოქეები, გერმანელი შტეფი გრაფი და არგენტინელი გაბრიელა საბატინი. მათი ფინალური ბრძოლა გრაფიკის მიხედვით დღეს უნდა გაიმართოს.

გრაფმა მეოთხედფინალში ზინა ჰარისონი (აშშ) დაამარცხა. ნახევარფინალში კი პუერტო-რიკოელ მერი-ჯო ფერნანდესს აჯობა 6:2, 6:4. საბატინის მეტოქე მეოთხედფინალში იყო პერუელი ლაურა ჰილდემაისტერი (6:2, 6:1), ნახევარფინალში კი 15 წლის ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი (6:4, 6:4).

ერთად დავაზუსტოთ. ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები

აკრობატიკა

თენგიზ ბოლქვაძე. ბათუმი. 1983. წლიდან.
ვლადიმერ გურგენიძე. თბილისი. 1957.
გურამ მარგიშვილი. თბილისი. 1979.
იოსებ გოცირიძე. თბილისი. 1980.
შალვა სადარეიშვილი. თბილისი. 1980.
ომარ ფხაკაძე. თბილისი. 1988.
ნინა პარაფილოვა. თბილისი. 1988.

ველოსპორტი

მირონ ბარამია. თბილისი. 1972.

თანამედროვე ხუთჭიდი

ვალერიან როგავა. თბილისი. 1983.

თხილამურები

კობა წიქაძე. ბაკურიანი. 1988.

კალათბურთი.

ვახტანგ ჯაფარიძე. თბილისი. 1952.
ლევ ძეკონსკი. თბილისი. 1953.
გარუნ ოკოფოვი. თბილისი. 1960.
ლევან ფალავანდიშვილი. თბილისი. 1962.
როლანდ ხომერიკი. თბილისი. 1973.
მურმან ქურიძე. თბილისი. 1977.
გოგი ავალიშვილი. თბილისი. 1979.

კრივი

ნიკოლოზ აირაპეტიანი. თბილისი. 1973.
ზაურ გვაჯავა. გაგრა. 1983.
იაკობ რაგიმოვი. თბილისი. 1983.
ნოგენ თორთლაძე. ქუთაისი. 1988.

აკადემიური ნიჩბოსნობა

გივი კეცხოველი. თბილისი. 1973.

საბაიდარო ნიჩბოსნობა

კონსტანტინე რევია. მცხეთა. 1969.

ტყვიის სროლა

შოთა ქველიაშვილი, თბილისი. 1988.
ილია ავეტისოვი. თბილისი. 1990.
გივი ბოსტოღანაშვილი. თბილისი. 1990.
ვადიმ ერმიშიანი. თბილისი. 1990.
ედუარდ მატინიანი. თბილისი. 1990.

სასტენდო სროლა

გივი ხომერიკი. ოზურგეთი. 1990.

იკ მი.2 33

ერთად დავაზუსტოთ, ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

(დასასრული)

ტანვარჯიში

გიორგი ჭილაია. თბილისი. 1963.
სერგო ჯაიანი. თბილისი. 1966.
მედეა ჯუღელი. თბილისი. 1974.
თეიმურაზ ასათიანი. თბილისი. 1980.
მიხეილ ბოგუსი. თბილისი. 1980.
ჰანს ბურჯანაძე. თბილისი. 1983.
რუსუდან სიხარულიძე. ბათუმი. 1985.

ფარიკაობა

აკაკი მეიფარიანი. თბილისი. 1955.
ტრიფონ მესხი. თბილისი. 1973.
მორის სახვაძე. თბილისი. 1973.
ნუგზარ ასათიანი. თბილისი. 1977.
იური ოსიპოვი. თბილისი. 1979.

ფეხბურთი

კარლო ყრუაშვილი. თბილისი. 1969.
ანატოლი მილჩენკო. სოხუმი. 1979.
ველოდი მიმინოშვილი. თბილისი. 1987.

ფრენბურთი

ედუარდ სანთელაძე. თბილისი. 1968.
სურენ სტეპანიანი. თბილისი. 1971.
ვლადიმერ გელაძე. თბილისი. 1973.
რაფაელ მურადოვი. თბილისი. 1973.
იური აკოფოვი. თბილისი. 1991.

ჭიდაობა
(თავისუფალი და ბერძნულ-რომაული)

ვასილ ილურიძე. თბილისი. 1960.
ვახტანგ კუხიანიძე. თბილისი. 1960.
ვახტანგ ბალავაძე. თბილისი. 1964.
გიორგი თარგამაძე. თბილისი. 1973.
ავთანდილ კუხიანიძე. თბილისი. 1973.
ილია ჩხარტიშვილი. თბილისი. 1973.
ანზორ გვიმრაძე. თბილისი. 1982.
ჯუმბერ დავლიანიძე. თბილისი. 1982.
ედიშერ მაჩაიძე. თბილისი. 1988.
ლარისა ბერიევა. თბილისი. 1988.
ომზარ შოშიტაშვილი. თბილისი. 1990.

სამბო

შოთა ზუკაკიშვილი. თბილისი. 1972.
ნოდარ ექვთიმიშვილი. თბილისი. 1990.

ძიუდო

ანზორ ქიბროწაშვილი. გორი. 1973.
გიორგი აბრამიანი. თბილისი. 1986.

ჭადრაკი

ქსენია გოგიავა. თბილისი. 1961.
გიორგი გაჩეჩილაძე. თბილისი. 1962.
ლილი წეროძე. თბილისი. 1970
თენგიზ გიორგაძე. თბილისი. 1972.
რაფაელ კაკიაშვილი. სოხუმი. 1974.

ჭადრაკი (კომპოზიცია)

გია ნადარეიშვილი. თბილისი. 1960.
ვაჟა ნეიძე. თბილისი. 1989.
დავით გურგენიძე. საგარეჯო. 1990.

წყალთხილამურები

ა. სანაძე. თბილისი. 1983.

ძალოსნობა

გიორგი ჩიკვაიძე. თბილისი. 1948.
კონსტანტინე ზაუტაშვილი. თბილისი. 1948.

ხელბურთი

თამაზ ჩხარტიშვილი. თბილისი. 1975.
ჯემალ ძაგანია. თბილისი. 1984.
დავით დანელია. თბილისი. 1984.

წყალბურთი

ვლადიმერ გოიაშვილი. თბილისი. 1972.
დავით იაშვილი. თბილისი. 1980.
ზურაბ ჩაჩავა. თბილისი. 1972.
ბორის მარგიევი. თბილისი. 1983.

წყალში ხტომა

იური გუტიაკულოვი. თბილისი. 1980.

ჭადრაკი

დიდოსტატები

ზურაბ აზმაიფარაშვილი დ. 1960. თბილისი. დიდოსტატობა მიენიჭა 1988 წელს.
ნანა ალექსანდრია. დ. 1949. „ბურევესტნიკი" (თბილისი). 1975.
ქეთევან არახამია დ. 1968. „დინამო" (თბილისი). 1987.
ელენა ახმილოვსკაია დ. 1957. „ბურევესტნიკი" (თბილისი). 1977.
ნონა გაფრინდაშვილი დ. 1941. „ბურევესტნიკი". (თბილისი). 1975
თამაზ გიორგაძე დ. 1947. „ბურევესტნიკი" (თბილისი). 1976.
ბუხუტი გურგენიძე დ. 1933. „დინამო" (თბილისი). 1970.
ნინო გურიელი დ. 1961. „განთიადი" (თბილისი). 1979.
ედუარდ გუფელდი. დ. 1937. „დინამო" (თბილისი). 1976.
გენადი ზაიჩიკი დ. 1957. „დინამო" (თბილისი). 1984.
ნანა იოსელიანი დ. 1962. „განთიადი" (თბილისი). 1979.
ქეთევან კახიანი დ. 1971. „დინამო" (თბილისი). 1990.
ელიზბარ უბილავა დ. 1958. „დინამო" (თბილისი). 1988.
მაია ჩიბურდანიძე. დ. 1961. „დინამო" (თბილისი). 1976.

საჭადრაკო კომპოზიცია

დავით გურგენიძე დ. 1953. „კოლმეურნე" (საგარეჯო). 1989.
იოსებ კრიხელი დ. 1931. „განთიადი" (თბილისი).
გია ნადარეიშვილი დ. 1921. „სპარტაკი" (თბილისი). 1960.

შენიშვნები გთხოვთ მოგვაწოდოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლახტის წრეში

ამასაც სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი ჰქვია?

ბავშვები ტირიან, ბაღლინჯოები „იცინიან"...

გუშინ საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს და გაზეთ „ლელოს" რედაქციას მიაკითხა აღშფოთებულმა მშობელმა შვიდი წლის გოგონასთან ერთად. რედაქციაში სიტყვა-სიტყვით ჩაიწერეს ქალბატონ ია გაბელაიას ნაამბობი:

„27 ივნისს თელავის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში წაიყვანეს სინქრონულ ცურვაში მომეცადინე 32 ბავშვი. თელავში, სხვა სახეობების წარმომადგენლებთან ერთად, ბავშვები სკოლა-ინტერნატის შენობაში ჩაასახლეს, სადაც ენით აუწერელი ანტისანიტარია სუფევს (არ არის ცივი და ცხელი წყალი, არ ირეცხება ტუალეტები, ოთახებში სიბინძურეა, ლოგინები ჭუჭყიანია, დაშლილია საწოლები, კორპუსში აუტანელი სუნი დგას...), მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ ბავშვები, რომელთა შორის ბევრი ექვსიდან რვა წლამდე ასაკისაა, ისე დაკბინეს ბაღლინჯოებმა და რწყილებმა, დედას საკუთარი შვილის ცნობაც კი გამიჭირდა, როცა ღამით შეგვატყობინეს, ბავშვს ჩამოაკითხეთო. ეს მოხდა 4 ივლისს.

ბანაკის დირექტორს ლევან ქურხაშვილს მანამდე, ჯერ კიდევ 30 ივნისს, იქ გამეფებულ სიბინძურეზე რომ მივუთითეთ, ასე გვიპასუხა, სანეპიდსადგურს რომ ვაცნობო, ბანაკს დამიხურავენო, ბაღლინჯო საერთოდ არ მინახავს ომის შემდეგ, აქაურობა თუ არ მოგწონთ, შეგიძლიათ თქვენი შვილი ახლავე წაიყვანოთო. ვიმეორებ, ეს იყო 30 ივნისს, ოთხი დღის შემდეგ კი დამირეკეს, ბავშვი ისეა დაკბენილი, თბილისში გადაყვანა ესაჭიროებაო. ასეთსავე დღეში აღმოჩნდნენ სხვა მოზარდებიც.

ვეკითხები ბანაკის ხელმძღვანელობას, რისთვის ჩაიყვანეთ თელავში ბავშვები, თუ აუზში წყალი არ იქნებოდა და ვარჯიშები არ ჩატარდებოდა-მეთქი? 27 ივნისიდან 4 ივლისამდე აუზში წყალი არ იყო, 5 ივლისს კი, ცივი წყალი ჩაასხეს და ისიც სანახევროდ.

განა ამას ჰქვია მოზარდ სპორტსმენებზე ზრუნვა? თუ პირობები არ არის, რატომ მოსწყვიტეს ბავშვები ოჯახს? — ამას ყველას ვეკითხებით და პასუხს მოვითხოვთ".

რედაქციისაგან: დაკბენილი ბავშვის ხილვამ აღაშფოთა გაზეთის მუშაკები. დაუყოვნებლივ დავრეკეთ თელავის ინტერნატში. არავინ გვიპასუხა. შემდეგ რაიონის სანეპიდსადგურის უფროსთან მოვითხოვეთ დაკავშირება. თანამშრომელს გადავეცით თხოვნა, რომ დაუყოვნებლივ შეისწავლონ, რა მდგომარეობაა ინტერნატში.

საერთოდ, საკითხავია; იყო თუ არა სანეპიდსადგურის დასტური ბანაკის გახსნაზე? ეს ხომ აუცილებელი მოთხოვნაა. რედაქცია ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდება. იქნებ თელავი გამონაკლისი არ არის...

და... თელავიდანაც დარეკეს

გუშინ საღამოს ტელეფონით დაგვიკავშირდა თელავის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი ქალბატონი თინა რამაზაშვილი. აი, რა გვაცნობა მან: „ინტერნატში ბანაკი ჩვენი ნებართვის გარეშე გაიხსნა. ჩვენ, ცხადია, წინააღმდეგი წავიდოდით, რადგან, ინტერნატის შენობაში არ არის ბანაკისათვის აუცილებელი პირობები. როგორც დავაზუსტეთ, ბანაკი თვითნებურად გაუხსნიათ 20 ივნისს, 2 ივლისს მივიღეთ მოწერილობა, რესპუბლიკის სანეპიდსადგურიდან (№ 404-82/18), რომელიც შედგენილია 27 ივნისს, ე. ი. ბანაკის გახსნიდან ერთი კვირის შემდეგ. თუ ბანაკი ნებართვის გარეშე გაიხსნა და ჩვენთან არ არის აღრიცხული, მას არ ვამოწმებთ. ინტერნატის ხელმძღვანელობამაც არ მოგვმართა. საქმეს აუცილებლად გადავცემთ პროკურატურას, მანამდე კი ჩვენ ვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას;

ადამიანი მატიანის ფურცლებზე

რეზო ვერელი...

ვერაზე გაიზარდა, შორიახლო ერთი პატარა უბალახო მოედანი იყო. ბიჭები მთელ დღეს იქ ატარებდნენ, ჭამაც კი არ ახსოვდათ. ეგრეთ წოდებული „ლგოტაკის" ერთი „მასტერსკი" ბურთი ჰქონდათ, შეგროვებული ფულით საზიაროდ ნაყიდი. სხვათა შორის, „ლგოტაკის" მაღაზია-სახელოსნოში, ელბაქიძის დაღმართზე (მის თავზე მოგვიანებით „ლელოს" პირველი რედაქცია იყო მოთავსებული), პირველხარისხოვანი ბურთების გარდა მშვენიერი ბუცებიც იყიდებოდა, ოღონდ ეგ არის, ბიჭებს საამისო ფული არ ჰქონდათ.

რეზო კავსაძემ თავიდანვე მეკარეობა ირჩია, შეიძლება იმიტომაც, რომ აკრობატიკა ეხერხებოდა, კალათბურთსაც კარგად თამაშობდა, მძლეოსნობაც, კერძოდ, ხტომები იტაცებდა.

...პლეხანოვზე, კინოთეატრ „აპოლოს" გვერდით, ძველ „დინამოს" სტადიონზე, მასპინძლებმა 1929 წლის ზაფხულში ამხანაგური მატჩი გამართეს. რეზო და მისი მეგობრები პირდაღებულნი უყურებდნენ ტყავის ბურთის ოსტატთა თამაშს — შოთა შავგულიძეს, მიხაილ ასლამაზოვს, მიხეილ ბერძენიშვილს, ნიკოლაი ანიკინს, ნიკოლაი სომოვს...

ერთი წლის შემდეგ ანდრო ჟორდანიამ მარცხენა გარემარბი შურა დოროხოვი მოიყვანა დინამოელთა გუნდში, რომელიც მოგვიანებით... სახელგანთქმულ მეკარედ „ალექსანდრ დოროხოვად" მოგვევლინა. აი, ვინ იყო რეზო კავსაძის ნამდვილი კერპი...

— მართლაც პირდაღებული შევცქეროდი მის თამაშს, და, მერწმუნეთ, არამარტო მე — განაგრძობს რ. კავსაძე — ბევრი მეკარე მინახავს, მაგრამ დოროხოვისნაირი — არავინ!

მინდა აქ თბილისის „დინამოს" მეორე შესანიშნავი მეკარეც ვახსენო — ამირან ტყებუჩავა. ისიც უდავოდ ძალიან ნიჭიერი გოლკიპერი გახლდათ, ლამაზად თამაშობდა, მშვენიერი ნახტომი და ბურთის მიღება ჰქონდა. ეგ იყო, რომ კარიდან გამოსვლისას შედარებით სუსტად მოქმედებდა. სამწუხაროა, რომ ტყებუჩავა ავადმყოფობის გამო (მარჯვენა მუხლის ძვლის დაშლა ჰქონდა) ნაადრევად წავიდა ფეხბურთიდან და... ალბათ იცით: კინოფილმ „ჭირვეულ მეზობლებში" ითამაშა ერთ-ერთი მთავარი როლი. ისე, „დინამოში" მუდამ მაღალი კლასის მეკარეები გვყავდა — თუნდაც ვლადიმერ მარღანია და სერგო კოტრიკაძე რად ღირან. ძალიან ნიჭიერი მეკარე იყო თეიმურაზ სტეფანია, სამწუხაროდ, იგი ასე ნაადრევად გამოესალმა წუთისოფელს.

...რეზო კავსაძე თბილისის პირველ საჩვენებელ სკოლაში სწავლობდა. ტანვარჯიშს აქ დიდებული პედაგოგი არჩილ ბაქრაძე ასწავლიდა. ბიჭები კინაღამ გადაირივნენ სპორტის ამ მშვენიერი სახეობით, მაგრამ რეზომ ფეხბურთს მაინც არ უღალატა. თითქმის ყოველ კლასში საკუთარი გუნდი იყო შექმნილი და სკოლის უკან მდებარე გადახურულ პავილიონში გაუთავებელი საფეხბურთო ბატალიები იმართებოდა. რეზო კავსაძის გუნდმა, რომელშიც მის გარდა თამაშობდნენ ოთარ ავალიშვილი, ჟორა ჩიტაია, ვლასი ფანჯაკიძე, სანიკ ხანდუკელი, კოლია სტურუა, შურა კალანდაძე და სხვანი, სკოლის ჩემპიონობა მოიგო ზედიზედ სამჯერ.

ერთხელ რეზოს საცურაო აუზზე ფიზკულტურელთა პარკში სპორტსაზოგადოება „მედიკის" წარმომადგენელი შეხვდა: მოსკოვში მივდივართ, მედიკოსთა სპარტაკიადაზე, ფეხბურთელებს მეკარე არა ჰყავთ და იქნებ შენ წამოხვიდეო. რეზო ძალიან გაახარა ამ წინადადებამ — თან მოსკოვსაც ვნახავო.

— ყველა მატჩი მოვიგეთ — დავამარცხეთ ლენინგრადის, ხარკოვის, კრასნოდარისა და სხვათა გუნდები, ფინალში კი მოსკოველებს შევხვდით. მათ რიგებში მაშინ დიდებული ოსტატი ფიოდორ სელინი თამაშობდა — მთელ თამაშს რომ „აკეთებდა" და ბურთებსაც ბლომად „ყრიდა". დიდი წინააღმდეგობა გავუწიეთ, მაგრამ მაინც დავმარცხდით 0:1. ბურთი მეორე ტაიმში გამიტანეს, ჩემგან მარცხენა დაბალ კუთხეში, ნახტომი დავაგვიანე.

ტურნირის შემდეგ შეიქმნა მედიკოს ფეხბურთელთა ნაკრები, რომელშიც კავსაძეც შეიყვანეს, მაგრამ იგი არ წაჰყვა გუნდს ლენინგრადში პროფკავშირთა პირველობაზე — ამ „უცხოელებთან" მარტო რა მინდა, აი, ერთი ჩვენებური კიდევ რომ იყოსო...

თბილისში დაბრუნებულ რეზოს, ბედად, ქუჩაში ძველი ნაცნობი, ზემოვერელი ოტია ჟორდანია შეხვდა. იგი უკვე საკმაოდ ცნობილი იყო საფეხბურთო წრეებში — თბილისის „დინამოს" საკლუბო გუნდში თამაშობდა მცველად: „ბიჭო, რეზო, სწორედ შენ გეძებდი — უნივერსიტეტში გუნდს ვაყალიბებთ და მეკარედ გვინდიხარ!".

რ. კავსაძემ უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები. ახალშექმნილ გუნდში მისი პარტნიორები იყვნენ გრიშა გაგუა, ასლან ხარბედია, ვანიჩკა კინწურაშვილი, ოტია ჟორდანია, ხოლო მწვრთნელი ბორის სკოლზნევი გახლდათ. ამ ფაკულტეტზე წელიწად-ნახევარი ისწავლა, შემდეგ ახლად გახსნილ ფიზკულტურის ფაკულტეტზე გადავიდა, კიდევ ორი წლის შემდეგ კი ეს ფაკულტეტი ცალკე ფიზკულტურის ინსტიტუტად გამოეყო. უნივერსიტეტში სწავლისას რეზო და მისი მეგობრები ორი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონები იყვნენ. 1938 წლის მიწურულში უნივერსიტეტის ძლიერი გუნდიდან თბილისის „დინამოში" გადაიყვანეს ასლან ხარბედია, ვანიჩკა კინწურაშვილი, ტიტე ჯორჯიკია და რეზო კავსაძე. მწვრთნელად ცნობილი ლენინგრადელი სპეციალისტი მიხაილ ბუტუსოვი მოიწვიეს.

— მოხდა ისე, რომ უკვე მომავალ, 1939 წლის სეზონში, ერთ-ერთი პირველი მატჩის ჩატარება მომიხდა, ლენინგრადში იყო ეს, ადგილობრივ „დინამოსთან". ტყებუჩავას, დაზიანებული მუხლის გამო აღარ შეეძლო თამაში, დოროხოვი კი იქვე, ლენინგრადში, დაშავდა (მარჯვენა მკლავი ეღრძო) „ელექტრიკთან" მატჩის დროს.

რევაზ კავსაძის დებიუტი დიდ ფეხბურთში წარმატებული გამოდგა — ახალგაზრდა მეკარის თამაში, ყველას მოწონება დაიმსახურა. თამაშის შემდეგ ბუტუსოვმაც შეაქო იგი, მაგრამ ჯობს ისევ ბატონ რევაზს მოვუსმინოთ:

— ლენინგრადის უზარმაზარი სტადიონი მთლად გაჭედილი იყო, ამდენი მაყურებლის წინაშე მანამდე არასოდეს მეთამაშა. ჩვენი მეტოქენი იყვნენ არკადი ალოვი, ვალენტინ ფიოდოროვი და სხვა გამოჩენილი ოსტატები. თამაშის წინ ლენინგრადში გასტროლებით მყოფი სანდრო კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტმა ხერხეულიძემ უზარმაზარი ყვავილების თაიგული მიართვა ჩვენს კაპიტანს შოთა შავგულიძეს — აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, არ შეგვარცხვინოთ, მთელი ანსამბლით გართ მოსულნი! პირველ ტაიმში გოლი არ გამიშვია, აი, ჩვენებმა კი ლამაზი ბურთი გაიტანეს (თუ არ ვცდები, ბორია პაიჭაძემ) მეტოქის კარში. შესვენების შემდეგ კვლავ წინ ვიყავით — 2:1. თამაშის დამთავრებას წამები აკლდა. ჩვენს საჯარიმოში ერთ-ერთმა ნახევარმცველმა უხეში შეცდომა დაუშვა („მომეცი ბურთი უკან, ნუ ატარებ!" — მაგრამ გაიგონია?). ამით კარგად ისარგებლა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ალოვმა და დაახლოებით 7-8 მეტრიდან ჩემგან მარცხენა კუთხეში გაიტანა ბურთი — 2:2. ჩავედით მოსკოვში, ცდკა-სთან სათამაშოდ. დოროხოვს მოურჩა დაზიანებული მკლავი და თავისი ადგილი დაიკავა კარში. როდესაც შურა ფორმაში იყო, მისი შეცვლა არავის შეეძლო...

1940 წელს მოსკოვში თბილისის „დინამომ", ფაქტობრივად, სსრკ-ის ნაკრებთან ითამაშა, თუმცა, ტაბლოზე „სპარტაკი" ეწერა. საქმე ისაა, რომ მოსკოვის სპარტაკელების სახელით საბჭოთა ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ ბულგარეთსა და ალბანეთში. გუნდი გააძლიერეს იაკუშინით, კორჩებოკოვით, გრინინით, ფედოტოვით, ს. ილინით, ს. სოლოვიოვით, სემიჩასტნით და სხვა საუკეთესო ფეხბურთელებით. გავიდა სულ რაღაც 15 წუთი და ჩვენმა ამირან ტყებუჩავამ 3 ბურთი გამოიტანა საკუთარი ბადიდან. თურმე, ნუ იტყვით, იგი სათამაშოდ სიცხიანი გამოსულა, 39 გრადუსი ჰქონდა. ამირანმა ყველას დაუმალა ეს.

— მხოლოდ მე ვიცოდი, რადგან ტყებუჩავამ გამაფრთხილა, ყოველ შემთხვევისათვის მზად ვყოფილიყავი. კარგა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც მახსოვს ერთი „დეტალი": თამაშის დღეს ჩვენთან მოვიდნენ ფეხბურთის სექციის (დღევანდელი ფედერაციის) წარმომადგენლები და გაგვაფრთხილეს, რაც შეიძლება „ფრთხილად" გვეთამაშა, ესე იგი, ფაქტიურად, არ გვებრძოლა და, ასე განსაჯეთ, წაგვეგო მატჩი. მაინც წააგებთ, მოსკოველები თქვენზე

დასარჩენ — გადასასვლელი...

გაიმართა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის I ჯგუფის აუტსაიდერთა და II ჯგუფის გამარჯვებულთა შეხვედრები I ჯგუფში დარჩენა-გადასვლის უფლების მოსაპოვებლად.

„სიონი" (ბოლნისი) — „არმაზი-90" (თბილისი) 1:3 (1:2).

რუსთავი. ფოლადის სტადიონი. 30 ივნისი.

მსაჯი: გ. ხეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: უგულავა („სიონი"), თამაშვილი, მელაძე, ლოლუა („არმაზი-90").

გააფრთხილეს: ლ. გახვიანი, კ. ქობულაძე (ორივე — „სიონი"); გ. ოხეფაშვილი, ე. ბერიშვილი, დ. ლობჟანიძე („არმაზი-90").

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „შევარდენი" (ზუგდიდი) 0:2, (0:0).

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივლისი.

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

გოლები: ბარალეი, ჟვანია („შევარდენი").

გააფრთხილეს: ა. ჯიქია, ზ. კიკნაველიძე, ა. ჩხეტია, ა. კვეკვესკირი (ყველა — „შევარდენი").

„სიხარული-90" (ბაგრა) — „მერანი" (თბილისი) 0:0 (პენალტებით 3:4).

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 1 ივლისი.

პენალტები გაიტანეს: პაჭკორიამ, ტიტოვამ, მინდაძემ, („სიხარული-90"); გენგაშვილმა, ჯიმშიტაშვილმა, ფერაძემ, სხირტლაძემ („მერანი").

გააფრთხილეს: რ. ბოგოსიანი, ს. ტიტოვი („სიხარული-90"); ზ. სხირტლაძე, მ. რაზმაძე, ა. ლაფაჩი, კ. გოგოლაძე („მერანი").

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „გურია-2" (ლანჩხუთი) 0:1.

გორი. ცენტრალური სტადიონი. 30 ივნისი.

პირველ ჯგუფში იასპარეზებენ: „არმაზი-90" (თბილისი), „შევარდენი" (ზუგდიდი), „მერანი" (თბილისი), „გურია-2" (ლანჩხუთი).

ნესტორ ჩხატარაშვილის სახელობისა

ალუდა ქეთელაური... მცველია დავლათიანი

შეგვემატა კიდევ ერთი ახალი რესპუბლიკური სათასო საფეხბურთო შეჯიბრება, რომელიც ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა. სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საფეხბურთო სკოლის (დირექტორი ა. ჯინჭარაძე) ხელმძღვანელთა ინიციატივით პატივი მიეგო ქართული ფეხბურთის თვალსაჩინო მოღვაწეს, წარსულში განთქმულ ფეხბურთელს, მწვრთნელსა და მსაჯთა სკოლის წარმომადგენელს ნესტორ ჩხატარაშვილს და დაწესდა მისი სახელობის თასის გათამაშება. სულ ახლახან მოეწყო კიდეც პირველი ასეთი შეჯიბრება ყინვალში და უნდა ითქვას, ყინვალელებმა კარგი მასპინძლობა გაუწიეს ნორჩ ფეხბურთელებს, ჩამოსულ სტუმრებს.

პირველ ტურნირში მონაწილეობდნენ 1978-79 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდები: „მგლები" (ლანჩხუთი), „კოლხეთი" (ფოთი), „ვაკე" (თბილისი), „არაგვი" (დუშეთი), „ყინვალი" (ყინვალი), „ოჯალეში" (ბანძა), „რუხი" (ზუგდიდი), „შევარდენი" (თბილისი).

გუნდებმა ჯერ ორ ქვეჯგუფში იასპარეზეს, აქ გამარჯვებულებმა კი ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მიიღეს. ესენი იყვნენ ლანჩხუთის „მგლები" და თბილისის „შევარდენი". გადამწყვეტი თამაში შევარდნელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, მათ დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 9:1 (მწვრთნელები — თ. ადუაშვილი, ი. მაისურაძე) და დამსახურებულად მოიპოვეს ნ. ჩხატარაშვილის სახელობის გარდამავალი თასი.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ვაკე" და ფოთის „კოლხეთი". წარმატება აქ ფოთელებს ხვდათ წილად — 6:0.

ტურნირზე გამოვლინდნენ კარგი მომავლის, პერსპექტიული ფეხბურთელები, მათგან საგანგებოდ გამოვარჩევთ საუკეთესო მეკარეს ირაკლი ძიმისტარაშვილს („მგლები"), მცველს ალუდა ქეთელაურს („შევარდენი), ნახევარმცველს — ზურაბ ოდიშელიძეს („შევარდენი"), თავდამსხმელს გია მეგრელაძეს („მგლები"), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს იმედა ქეთელაური („შევარდენი"), ხოლო ბომბარდირი გახდა გიორგი მუჯირი („კოლხეთი").

ყველაზე კორექტული გუნდის პრიზი დაიმსახურა ბანძის „ოჯალეშმა".

სურათზე: თბილისის „შევარდენი".

* * *

● **დუშანბეში** გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩი ადგილობრივ „პამირსა" და ხარკოვის „მეტალისტს" შორის. თამაში ფრედ დამთავრდა — 2:2.

● **ევროპის** საკლუბო ტურნირებში წლეულს საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებენ კიევის „დინამო" (ჩემპიონთა თასი), ცსკა (თასების მფლობელთა თასი), მოსკოვის გუნდები: „დინამო", „სპარტაკი" და „ტორპედო" (უეფა-ს თასი).

● **ჟენევა.** მოსკოვის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი იგორ დობროვოლსკი ახალი სეზონიდან შვეიცარიის „სერვეტში" ითამაშებს, რის შესახებაც ცნობა გამოაქვეყნა ფრანს პრესის სააგენტომ.

ი. დობროვოლსკი იტალიის „ჯენოასთან" ოფიციალური კონტრაქტით 1995 წლამდეა დაკავშირებული, მაგრამ კლუბის დირექტორატს მიაჩნია, რომ სსრ კავშირის ნაკრების 23 წლის ნახევარმცველი ჯერ მზად არაა იტალიის ჩემპიონატში სათამაშოდ. ამიტომ იყო, რომ იგი შარშანდელი სეზონის შუაგულში დროებით გადასცეს ესპანეთის „კასტელიონს", წლეულს კი „სერვეტს".

ი. დობროვოლსკისთან ერთად ჟენევის „სერვეტში" ითამაშებს „ჯენოას" კიდევ ერთი სათადარიგო მოთამაშე, ანდრეა მარიანო, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

[illegible]

● **პრაღა.** ცნობილი ფეხბურთელი, რომელთანაც საფრანგეთის „მარსელის" პრეზიდენტს ბერნარ ტაპის განზრახული აქვს სარეკორდო თანხის კონტრაქტის დადება, გახლავთ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრებისა და იტალიის „ჯენოას" თავდამსხმელი ტომაშ სკუხრავი.

როგორც რეიტერის სააგენტო გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის" ცნობაზე დაყრდნობით იუწყება, ტ. სკუხრავის „მარსელში" გადასვლა ჭეშმარიტად თავბრუდამხვევ თანხად ჯდება — 19,4 მილიონი დოლარად. თუ გარიგება მოხდა, ეს თანხა დიდად აღემატება ძველ რეკორდს, როცა იტალიის „იუვენტუსმა" რობერტო ბაჯოს საფასურად „ფიორენტინას" გადაუხადა 13 მილიონი დოლარი.

თვით ტომაშ სკუხრავიმ განაცხადა: „ჯენოაში" საუკეთესო პირობები მაქვს, მაგრამ იმ მაღალმა მიზნებმა, რომლებსაც ბერნარ ტაპი და „მარსელი" ისახავენ, არ შეიძლება მე, როგორც ფეხბურთელი, გულგრილი დამტოვოს".

● **გლაზგო.** შოტლანდიის ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა" ამ ქვეყნის ფეხბურთისთვის არნახული თანხა გადაიხადა ახალი მოთამაშეების შესაძენად — 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

„გლაზგო რეინჯერსის" ყველაზე ძვირადღირებული შენაძენია საბჭოთა ფეხბურთელი ალექსეი მიხაილიჩენკო, რომლის საფასურადაც იტალიის „სამპდორიამ" 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო. თითო მილიონი გადაიხადეს მეკარე ენდი გორამისა („ჰიბერნიანი") და მცველ დევიდ რობერტსონისათვის („აბერდინი").

ბევრად უკეთ თამაშობენო! გაიოზ ჯეჯელავამ ვერ მოითმინა და იქვე მიახალა: „თუ ასეთი მაგრები არიან, თავად მოგვიგონ, თქვენი დახმარების გარეშე — ჩვენ კი ისე ვითამაშებთ, როგორც შეგვიძლია!".

რა თქმა უნდა, ა. ტყებუჩავამ ბოლომდე ვერ შეძლო მატჩის ჩატარება და მიატოვა კიდეც კარი.

— „რას ზიხარ, ვერ ხედავ, კარი ცარიელია?! — მიმართა ჩვენი გუნდის კაპიტანმა შოთა შავგულიძემ სათადარიგოთა სკამზე „დინამოს" კიდევ ერთ მეკარესთან, (თუ არ ვცდები, ბორია პაიჭაძემ) ბათუმელ არტიუშ კელენჯიანთან, მჯდომ რეზოს.

— რეზო, „დავაი!" — სწრაფად დაუძახა მეორე მწვრთნელმა მიხაილ მინაევმა მთლად დაბნეულ მეკარეს. ტაიმი 0:3 წავაგეთ. შესვენების შემდეგ პაიჭაძემ, ჯეჯელავამ და ზარბეღიამ, გაქვეთეს ანგარიში, სტადიონი პირდაპირ დაინგრა ოვაციისგან: „ღოლოი სბორნუიუ!, „დინამო [illegible] ზაგრანიცუ!" — ყვიროდნენ ტრიბუნები, მაგრამ... შუა ტაიმში ჯერ მოსკოველთა სწრაფმა მარჯვენა გარემარბმა სერგეი სოლოვიოვმა უძლიერესი დარტყმით გაიტანა ბურთი რეზოსგან მარჯვენა კუთხეში, მერე კი, თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, ცბიერმა მარჯვენა შუამარბმა მიხაილ იაკუშინმა წამოიწყო და გრინინმა დააგვირგვინა რთული კომბინაცია.

— ცნობილია, რომ იაკუშინს — ფეხბურთის ამ გამოჩენილ დიდოსტატს — ყველაზე კარგად ჩვენი გრიშა გაგუა „იჭერდა". ერთხელ მიხეის უთქვამს (არცთუ ისე ხუმრობით): ოღონდ დღეს გაგუამ არ ითამაშოს, და, თუ გნებავთ, თბილისელებმა ორი მეურვე დამიყენონო! გრიშა მართლაც ძალზე სხარტი, ენერგიული ფეხბურთელი იყო. ერთ მომენტში იაკუშინი სწრაფად შემოიჭრა ჩვენს საჯარიმოში, მოემზადა კარში დასარტყმელად (სამი-ოთხი მეტრი იქნებოდა ჩემამდე) და... ამ დროს, საიდანღაც გამოხტა გაგუა, ჩაუდგა ფეხი შემზადებულ ფორვარდს, მე კი დავიძახე: „ვოლებ!" და სწრაფად გადავხტი, ბურთი ვიგრძენი ხელში, მაგრამ როდესაც ძირს ვეშვებოდი... გაგუას გაჭიმულ ფეხს დავახტი, ტანმაღალი იაკუშინიც დაეცა ჩემთან ერთად, საწყალ გრიშას ფეხზე. გაისმა ძვლის ჭახუნი — გაგუას მუხლი ამოუვარდა. არაადამიანურად დაიღრიალა. მინდორზე შემოვარდა სტადიონის ექიმი, იდლიაში ამოიდო გაგუას ფეხი და ძვალი ჩაუბრუნა ფოსოში. დაზარალებული საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან და ახლომდებარე საავადმყოფოში გააქანეს...

— ყოველივე ამან ძალიან იმოქმედა ჩვენს ფეხბურთელებზე — გაგუას ნაცვლად მოედანზე მიხო ჭელიძე გამოვიდა, მოგეხსენებათ, იგი მოსკოველი არმიელის ვლადიმერ დიომინის წინააღმდეგ თამაშის „დიდი სპეციალისტი" გახლდათ, მაგრამ ვერაფერი გააწყო იაკუშინთან. მოსკოველმა მთელი თამაში ხელთ იგდო, თავისუფლად „დასეირნობდა" მოედანზე, მახვილგონივრულ გადაცემებს აკეთებდა და სახიფათოდ უტევდა კარს. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ როდესაც სტადიონიდან საერთო საცხოვრებლისკენ მივდიოდით, გულშემატკივრებმა ხელში აიტაცეს ბორია და გაიოზი და ასე მიაცილეს. ყველა გვილოცავდა კარგ თამაშს, პირდაპირ გვეუბნებოდნენ: „ეტო ვაშა იგრა ბილა!"

ეს სურათი რამდენიმე წლის წინათაა გადაღებული თბილისში, „დინამოს" სტადიონზე. რევაზ კავსაძე (მარცხნივ) ესაუბრება სახელგანთქმულ კოლეგებს მშობლიური გუნდიდან — ალექსანდრ დოროხოვს (შუაში) და სერგო კოტრიკაძეს.

კონსტანტინე შანიძის ფოტო.

...1941 წლის საფეხბურთო სეზონი თბილისის „დინამომ" მშვენივრად დაიწყო — თბილისში ზედიზედ დაამარცხა სტალინოს „სტახანოვეცი" (3:0), მინსკის „დინამო" (3:0), მოსკოვის „პროფსოიუზი-II" (1:0), ფრედ დაამთავრა თამაში სტალინგრადის „ტრაქტორთან" (1:1), კიევში წააგო ადგილობრივ „დინამოსთან" (0:3), ლენინგრადში ქულა დაკარგა „ზენიტთან" (2:2), სამაგიეროდ, იქვე სძლია ნევისპირელთა „სპარტაკს", (4:1), თბილისში მოუგო მოსკოვის „პროფსოიუზ-I"-ს (3:2), შემდეგ — ოდესის „სპარტაკს" (3:1) და ლენინგრადის „დინამოს" 4:1. 16 ქულა 20 შესაძლებლიდან (ბურთების შეფარდება 20:11),

— მართლაც საუკეთესო შედეგი იყო! ქვეყნის ჩემპიონს, მოსკოვის „დინამოს" თბილისელები ერთი ქულით უსწრებდნენ. რევაზ კავსაძეს იასამნისფერი მელნით გულმოდგინედ შეჰქონდა მატჩების შედეგები თბილისის „დინამოს" სტადიონის მიერ 10.000-იანი ტირაჟით გამოცემულ 1941 წლის საფეხბურთო ცნობარ-კალენდარში, მაგრამ... მატჩი ლენინგრადის „დინამოსთან" უკანასკნელი გამოდგა. „ომი! დღეს ფრონტზე მივდივარ..." — მიაწერა რეზომ ცნობარს იქ, სადაც 26 ივნისის ტურის კალენდარი იყო დაბეჭდილი. დანარჩენ მატჩებს მელნითვე ხაზი გადაუსვა (ეს ისტორიული საფეხბურთო ცნობარ-კალენდარი ბატონმა რევაზმა ამას წინათ ჩვენს რედაქციის უსახსოვრა). თადარიგის ლეიტენანტი, 27 წლის რ. კავსაძე, პირდაპირ ფრონტზე წაიყვანეს დონბასში და მეავტომატეთა ასეულის მეთაურად განაწესეს. 1942 წლის იანვარში რევაზი მძიმედ დაჭრეს მარცხენა ფეხში, სამხედრო ჰოსპიტალში ოპერაცია გაუკეთეს, ტყვიის ნაჭერი ამოუღეს ძვლიდან. ამის შემდეგ, რ. კავსაძე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის განკარგულებაში მოხვდა. თანდათანობით სიარული დაიწყო, შემდეგ სირბილი, ვარჯიში... ამ დროისათვის კონსტანტინ კრავჩენკომ თბილისში კარგი გუნდი ჩამოაყალიბა: რეზო კავსაძე, შოთა ჯოჯუა, ილო ლობჟანიძე, შურა მინჯია, გოგი ნიკურაძე... საქართველოს ჩემპიონატში პირველსავე წელს ჩემპიონები გახდნენ.

საბოლოოდ, რ. კავსაძე კასპიის ფლოტის საზღვაო-სადესანტო ბატალიონში მოხვდა, სადაც ის ასეულის მეთაურის მოადგილედ დანიშნეს. რეზომ იქ ფეხბურთის გუნდი „კკფ" ჩამოაყალიბა. გუნდმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირველობაში სევასტოპოლში და ორჯერვე ჩემპიონი გახდა.

დემობილიზაციის შემდეგ რ. კავსაძე, მწვრთნელად მუშაობდა რუსთავის „მეტალურგში", მერე ყვარლის „დურუჯს" ავარჯიშებდა, წვრთნიდა თბილისის პირველ და მეორე საშუალო სკოლების გუნდებს. სხვათა შორის, 1952 წელს ეს ორი გუნდი თბილისის მოსწავლეთა პირველობის ფინალში შეხვდა ერთმანეთს. მთავარი მსაჯი გაიოზ ჯეჯელავა იყო. გაიმარჯვა მე-2 სკოლის გუნდმა. გამარჯვებულთა და... დამარცხებულთა მწვრთნელი რევაზ კავსაძე დააჯილდოვეს სიგელით (!).

დაბოლოს, სიტყვა კვლავ ჩვენი გაზეთის სტუმარს — 77 წელს გადაბიჯებულ ბატონ რევაზ კავსაძეს:

— ასეთი სიგელები, დიპლომები და ჩინ-მენდლები ბევრი მიმღია, მაგრამ, რა ფასი აქვთ მათ? მთავარია, ჩემი სამშობლოს, ჩემი მიწა-წყლის კეთილდღეობა. ნეტავ იმ დღეს მომასწრო, საქართველო ჭეშმარიტად თავისუფალი და ბედნიერი რომ გახდება. ჩვენს ფეხბურთელებს ვუსურვებ სულ მალე ბრაზილიასთან, ინგლისთან, არგენტინასთან, ესპანეთთან ეთამაშოთ, თანაც, ოფიციალურ ტურნირებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, ვუსურვებ დღევანდელ ქართველ ოსტატებს, გაეგრძელებინოთ ფეხბურთის ჯადოქრების ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ალექსანდრ დოროხოვის, მიხეილ ბერძენიშვილის, ავთანდილ ღოღობერიძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, მურთაზ ხურცილავას, გივი ჩოხელის, სერგო კოტრიკაძის, მანუჩარ მაჩაიძის, დავით ყიფიანის, ვიტალი დარასელიას, ალექსანდრე ჩივაძისა და სხვათა სახელოვანი ტრადიციები. თუ ფეხბურთი ჩვენში თავის დროზე შავიზღვისპირეთიდან მოვიდა, დაე, ახლა ქართული ეროვნული ფეხბურთის დიდება შავი ზღვის სანაპიროსაც გასცდეს.

თამარ ნიზაძე

ცხოვრებისეული უბრალო ამბავი

კუნძული ლესბოსი შუაზე გაიყო

ამ დღეებში ინგლისის საჩოგბურთო კლუბის ცნობილ ბალახის კორტებზე, ლონდონში, ტარდება საჩოგბურთო ტურნირთაგან ყველაზე პრესტიჟული — უიმბლდონის ტურნირი. ვინც თუნდაც ერთხელ მოიგებს მას — ჩოგბურთის წმინდათა რიცხვს შეუძლია მიაკუთვნოს თავი. 34 წლის ჩეხური წარმოშობის ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა უიმბლდონში ერთეულთა შორის გამარჯვებული გამოვიდა 9-ჯერ!

როგორც იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ეს მან ნამდვილად დაიმსახურა, ჩოგბურთისადმი თავისი უმაგალითო ერთგულებით, ხალასი ნიჭითა და საწვრთნელი ვარჯიშებისას გაწეული დაუღალავი შრომით. მარტინას ამჟამინდელი ფიზიკური ფორმაც წარმატებისთვის განაწყობს. მისივე სიტყვებით, რომელიც მან შეჯიბრების დაწყების წინ წარმოთქვა, ამჟამად ის თავს ბევრად იმაზე უკეთ გრძნობს, ვიდრე მოელოდა.

რაც შეეხება სულიერ სიმშვიდესა და ფსიქოლოგიურ კომფორტს, ამ მხრივ, ნავრატილოვას საქმეები აშკარად ცუდადაა. მართლაც, რომელ მორალურ წონასწორობაზეა ლაპარაკი, როდესაც სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრების დაწყების წინ შეიტყობ, რომ მიწვეული ხარ სასამართლოში მოპასუხის როლში.

მკითხველისათვის ეს ისტორია ბოლომდე გასაგები რომ გახდეს, ყველაფერს თავიდან გავიხსენებთ.

მაშ ასე, 1986 წლის გაზაფხულზე ორმა ახალგაზრდა ქალმა — ჩვენთვის უკვე ცნობილმა მარტინა ნავრატილოვამ და ტეხასელმა ექიმმა ჯუდი ნელსონმა, რომელიც ქმარს ახალი გაყრილი იყო, გადაწყვიტა, ოჯახი შეექმნათ. რა გვეთქმის, დასავლეთში ეს ჩვეულებრივი ამბავია: იქ ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელთა სიყვარულს გაგებით ეკიდებიან. ჩვენთანაც, ეტყობა ამ საქმეში ყინული ნელ-ნელა დაიძრა. თუ ღმერთმა ასე გააჩინა ეს ადამიანები, ზედმეტად რაღაზე გავაღიზიანოთ. მთავარია, ამან სხვებს არ მოუტანოს ზიანი.

ასე და ამგვარად, მარტინა და ჯუდი გადაბარგდნენ ქალაქ ფორტუორტის ერთ-ერთ შესანიშნავ სახლში. მანამ კი, როგორც ამერიკაშია მიღებული, შეადგინეს შესაბამისი საქორწინო კონტრაქტისმაგვარი ხელშეკრულება. სოლიდური საბუთი გამოვიდა. 11 ფურცელზე დეტალურად იყო ჩამოთვლილი ყველა ქონებრივი, უფლებრივი და სხვა საკითხები. კონტრაქტის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ორივე „კომპანიონი" იცხოვრებდა ერთად, ერთადვე გაუძღვებოდა საოჯახო საქმიანობას და 1986 წლამდე შეძენილ ერთმანეთის ქონებაზე არავითარი პრეტენზია არ ექნებოდათ; იმ შემთხვევაში კი, თუ რაიმე მიზეზის გამო, ეს შეთანხმება დაირღვეოდა, ქორწინების მანძილზე შეძენილ ქონებას თანაბრად გაიყოფდნენ. ამასთან, ნავრატილოვამ საერთო ოჯახში შეიტანა 5,2 მილიონი დოლარის ქონება. ნელსონმა — ქმრისაგან დარჩენილი დაახლოებით ასეთივე ღირებულების სახლი.

ყველაფერი ეს განმტკიცებული იყო „ახლად დაქორწინებულთა" ხელმოწერებით. ხელშეკრულების თერთმეტივე ფურცელზე ხელმოწერის მომენტი აღბეჭდილია ვიდეოფირზე, რომელიც ახლა ნივთმტკიცებადაა წარდგენილი. მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

ცხოვრობდნენ მეგობრები მშვიდად და უდრტვინველად ამა წლის აპრილამდე. და შემდეგ, რაღაც შეიცვალა, როგორც ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება ოჯახებში. მარტინამ ხელი დაუქნია ჯუდის და თავის სახლში გადაბარგდა, ისე, რომ არაფერი უთქვამს კონტრაქტის თანახმად ერთად შეძენილი ქონების გაყოფაზე.

თავის საუკეთესო გრძნობებში შეურაცხყოფილმა ჯუდიმ ადვოკატთან ერთად სასამართლოს მიმართა. მისი აზრით, კონტრაქტში, შეტანილი ქონების გაყოფის წესი უბრალო ფორმალობა როდია, ვინაიდან საქმე ეხება 5-10 მილიონ დოლარს. როგორც ჩანს, კომპანიონები სერიოზულად უძღვებოდნენ თავიანთ მეურნეობას და ნავრატილოვაზე ნაკლებად უზრუნველყოფილ ნელსონს არ სურს ხელიდან გაუშვას ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი წილი. სწორედ მან მიიტანა სასამართლოში 1986 წელს გადაღებული სამახსოვრო ვიდეოკასეტა.

მარტინას კი ცნობამ იმის შესახებ, რომ იგი პასუხისგებაშია მიცემული, სწორედ ინგლისში გამგზავრების წინ მიუსწრო. ამ არასასიამოვნო საკითხთან დაკავშირებით მიცემულ ტელეინტერვიუში, მარტინამ ჯუდის ხარბი უწოდა და თქვა, რომ არაფერი იცის კონტრაქტზე, რომ 1986 წელს მან მართლაც მოაწერა ხელი რაღაცას, მაგრამ რას, ღმერთმა იცის. და თვლის, რომ ამ საბუთს არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია.

— მომხდარით ძალზე შეწუხებული ვარ, — ხაზი გაუსვა ნავრატილოვამ, — მე და ჯუდის კარგი დამოკიდებულება გვქონდა, ახლა კი თავისი სიხარბის წყალობით ყველაფერ ამას ლაფში სვრის. ამ წლების მანძილზე ვზრუნავდი არა მხოლოდ მასზე, არამედ მის მშობლებზეც, შვილებზეც. ჩემი წყალობით, ისინი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდნენ, დამყავდა ტურნირებზე. როგორც ჩანს, ეს ჯუდის ეცოტავებოდა, რადგანაც მან სწორედ უიმბლდონის წინ გადაწყვიტა, ზურგში მახვილი ჩაეცა ჩემთვის შესანიშნავად იცოდა, რომ სწორედ ახლა ეს არამც და არამც არ უნდა ჩაედინა... საწყენია, ძალზე საწყენი.

რა გაეწყობა, სასამართლო გაერკვევა ამ ოჯახურ კონფლიქტში — ეს მისთვის პირველი ხომ არაა. თქვენ კი, თუ ამ დღეებში თვალს მოჰკრავთ მარტინას ტელევიზიით უიმბლდონის ბალახზე, გაიხსენეთ, რა ტრიალებს მის სულში. და თუ ნავრატილოვამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც შეძლო უძლიერესის სახელის მეათედ მოპოვება, უკუაგდეთ ეჭვები მისი სულის ფენომენალური სიმტკიცისა და ნებისყოფის შესახებ.

მაგრამ რას იტყვის ამის თაობაზე ჯუდი?

გ. იგორევი,
„სოვეტსკი სპორტ პლიუს 8", № 5, ივლისი, 1991 წ.

P. S. წერილი უიმბლდონის ტურნირამდეა მომზადებული.

კასპაროვ-კარპოვის ორეულთა შეხვედრის ორეული გულშემატკივრები

ახლახან მოსკოვში, საკონცერტო დარბაზ „როსიაში" საინტერესო ადამიანებმა მოიყარეს თავი. გვერწმუნეთ, დაიბნეოდით უცნაური კონკურსის — „ერთი ერთზე" მონაწილეთა დანახვაზე. ვინ არ იყო იმ დღეს იქ! პუშკინი, ნიკოლოზ II, ლენინი, სტალინი, ახალგაზრდა რონალდ რეიგანი, ტეტჩერი, ელცინი, რაისა გორბაჩოვა, ალა პუგაჩოვა, პატრისია კაასი, მირეი მატიე, მარადონა...

მოვიდნენ კასპაროვისა და კარპოვის „დუბლიორებიც", თანაც მოჭადრაკეები. მსოფლიო ჩემპიონის სახელით საჭადრაკო დაფას მიუჯდა მოსკოვის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მასწავლებელი, პირველთანრიგოსანი ალექსეი ფუქსი, ექსჩემპიონს კი ჟელეზნოგორსკელი ეკონომისტი, ჭადრაკის მოყვარული იგორ კუპაევი წარმოადგენდა. საჭადრაკო პარტიის დასრულების შემდეგ თითოეულმა მათგანმა უამრავი კურიოზული შემთხვევა გაიხსენა, როცა ისინი ნამდვილი კასპაროვი და კარპოვი ეგონათ.

ფოტოსურათების შემხედვარე იტყვით, რომ მათზე გამოსახული პიროვნებები ნაკლებად გვანან „ორიგინალებს". მაგრამ, ეს ხომ მხოლოდ ფოტოა, ისე კი, გარწმუნებთ, თუ მათ ქუჩაში შეხვდებით, ნაკლებად დაეჭვდებით.

მოამზადა ბელა ჯილაურმა.

სურათებზე: ზევით — კასპაროვისა და კარპოვის ორეულების ორთაბრძოლას თვალს ადევნებენ ლენინი, პუშკინი, ახალგაზრდა რონალდ რეიგანი და სტალინი; ქვევით — კასპაროვის და კარპოვის ორეულის პაექრობას ორი მირეი მატიე გულშემატკივრობს.

კეთილშობილების კიდევ ერთი მაგალითი

იუნესკოსთან არსებობს პატიოსანი (სამართლიანი) თამაშის საერთაშორისო კომიტეტი „ფეირ პლეი". იგი ყოველწლიურად საგანგებო მედლითა და პრემიით აჯილდოებს სპორტსმენს, რომელიც ასპარეზობის მსვლელობაში განსაკუთრებულ კეთილშობილებას გამოიჩენს. დაჯილდოებულთა შორის შეიძლება იყოს რამდენიმე სპორტსმენი ან მთელი გუნდი.

სპორტული კეთილშობილების წახალისების მიზნით ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია „ფეირ პლეის" საკუთარი კლუბები, ხოლო ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ყოველწლიურად ანიჭებენ საგანგებო პრიზებს სპორტულ ასპარეზზე გამოვლენილი რაინდული საქციელისთვის. მაგრამ, ეს, ასე ვთქვათ, მინი-პრიზი გახლავთ, თუმცა მნიშვნელობა მას იგივე აქვს, რაც იუნესკოს „ფეირ პლეის".

სპორტული კეთილშობილებისა და რაინდობის ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს 1980 წლის პრემიის ლაურეატის, შვეიცარიელი ავტომობილისტის ფილიპ რუს საქციელი. 24-საათიანი რბოლის დროს (იტალია, მონცა) იგი არ შეუშინდა სასიკვდილო საფრთხეს, ტრასაზე გააჩერა მანქანა და დახმარება აღმოუჩინა ავარიაში მოხვედრილ ერთ-ერთ მონაწილეს, რის გამოც ბუნებრივია, გამოეთიშა რბოლას. „ფეირ პლეის" მრავალწლიანი ისტორია აღსავსეა ასეთი კეთილშობილური მაგალითებით.

„ფეირ პლეის" საერთაშორისო კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე ამ ჯილდოს ახალი ლაურეატები დაასახელა. პიერ დე კუბერტენის პრიზი 1990 წლისათვის მიეკუთვნა დიდი ბრიტანეთის ნიჩბოსანთა ტანდემს — იენ ლაუერს და გრეჰემ ბარნსს, რომლებმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე სოლიდარობა გამოუცხადეს დანიის ეკიპაჟს, დაუცადეს მათ და... თვითონ უმედლოდ დარჩნენ, დანიის წყვილმა კი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„სპორტლოტო"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სუპერტირაჟის" შედეგები.

„6 45": დაშვებულია 67.665 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია, 5 ნომრის გამოცნობისთვის (3) მოგება 56.388 მანეთია.

საქართველოში: დაშვებულია 1.352 ვარიანტი. 6—0, 5—0.

„5 36": დაშვებულია 484.065 ვარიანტი. 5 ნომერი არავის გამოუცნია. 4 ნომრის გამოცნობისთვის (171) მოგება 7.076 მანეთია.

საქართველოში: დაშვებულია 10.336 ვარიანტი. 5—0, 4—5.

„სუპერტირაჟის" მოგებები გაიცემა 1991 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

„სპორტპროგნოზი"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 26-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.924.259 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (169) მოგება 284 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (3.136) — 30, 11 შედეგის გამოცნობისთვის (25.115) — 13.

საქართველოში: დაშვებულია 71.178 ვარიანტი. 13—8, 12—129, 11—1.100.

26-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

„სპორტლოტო"

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის 26-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45": დაშვებულია 1.214.751 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია და ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი 30.369 მანეთი დაემატება 27-ე ტირაჟის პირველ ჯგუფის მოსაგებ ფონდს. 5 ნომრის გამოცნობისთვის (16) მოგება 1.690 მანეთია, ოთხისთვის (1.936) —101.

საქართველოში: დაშვებულია 23.946 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—28.

„სპორტლოტო 5 36": დაშვებულია 12.140.954 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (57) მოგება 10.013 მანეთია, ოთხისთვის (4.881) — 199, სამისთვის (145.227) —9.

საქართველოში: დაშვებულია: 207.863 ვარიანტი. 5—0, 4—77, 3—2.445.

26-ე და 17-26 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 20 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით.

რედაქტორი
თენგიზ ბაჩეჩილაძე

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ს. ქორქია, კორექტორები: ქ. ჭეჟთურაძე და ვ. ზოზურიძე.

ჩვენი მისამართი:
საფოსტო ინდექსი — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 99-07-55
სამდივნო — 99-07-58
ინფორმაციის განყოფილება — 99-07-54
„მერანი" — 99-07-96, „მარათი" — 99-07-87

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. ამეწყობა ოფსეტური წესით, [illegible] [illegible], 20.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.